საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო

ზუგდიდის საკრებულოს 2022 წლის საქმიანობის შეფასება

სარჩევი

შესავალი:	3
თავი 1. ძირითადი მიგნებები	4
თავი 2. ზოგადი ინფორმაცია ზუგდიდის საკრებულოს შესახებ	6
თავი 3. მნიშვნელოვანი მოვლენები	8
თავი 4. საკრებულოს კომისიების და ფრაქციების საქმიანობა	9
თავი 5. პოლიტიკური კრიზისი და საკრებულოთა როლის დასუსტება	11
თავი N6. საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების კონტროლი	12
თავი 7. არასრულად შევსებული დეკლარაციები და შეუთავსებელი საქმიანობა	13
თავი 8. საკრებულოს წევრთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში	14
თავი 9. მოქალაქეთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში	16
თავი 10. გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა	17
თავი 11. ზუგდიდის საკრებულოს ხარჯები	18
რეკომენდაციები	20

შესავალი:

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო” აფასებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (შემდეგში - ზუგდიდის საკრებულო) 2022 წელს გაწეულ საქმიანობას.

ანგარიში ეფუძნება საკრებულოდან გამოთხოვილ, საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებულ ინფორმაციასა და ჩვენი ორგანიზაციის დაკვირვებებს.

კვლევის საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2022 წელს.

“საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ” ზუგდიდის საკრებულოს საქმიანობა ორჯერ შეაფასა, პირველი შეფასება მოიცავდა პერიოდს 2017 წლის ნოემბრიდან 2019 წლის ჩათვლით, მეორე შეფასების საანგარიშო პერიოდი კი 2020 წელი იყო

თავი 1. ძირითადი მიგნებები

- საანგარიშო პერიოდში ნაწილობრივ გაუმჯობესდა ზუგდიდის საკრებულოს საზედამხედველო ფუნქციები ზუგდიდის მერიისა და იურიდიული პირების საქმიანობაზე;
- საკრებულოს მერიის საქმიანობაში და, მათ შორის სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, ინტერესთა კონფლიქტი ან რაიმე სახის გადაცდომა არ გამოუვლენია;
- ზუგდიდის საკრებულომ **28** სხდომა გამართა. აქედან **19** სხდომა რიგგარეშე იყო;
- ზუგდიდის საკრებულომ **45** დადგენილება მიიღო, რომელთაგან **30** დადგენილების ავტორი/ინიციატორი ზუგდიდის მერია იყო, **15** დადგენილებისა კი - საკრებულო;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **45** თანამდებობის პირიდან დეკლარაცია ხარვეზებით ერთმა - ირაკლი გოგოხიამ შეავსო;
- წინა მოწვევის საკრებულოსაგან განსხვავებით, ამჯერად ინიციატივა საკრებულოში მოქმედ ყველა ფრაქციას ჰქონდა. ფრაქციებმა 2022 წელს ჯამში **59** ინიციატივა წარადგინეს;
- ფრაქციათა საქმიანობაზე გაწეულმა ჯამურმა ხარჯმა **633,443** ლარი შეადგინა. აქედან **599,340** ლარი ხელფასებზე გაიცა, რაც **350,341** ლარით აღემატება 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს;
- წინა მოწვევის საკრებულოსთან შედარებით **7-დან 14-მდე** გაიზარდა ქალი წევრების რაოდენობა, რაც საერთო რაოდენობის **31.1** პროცენტია;
- საკრებულოს წევრი **14** ქალიდან თანამდებობას **6** იკავებს, მათ შორის სამი კომისიის თავმჯდომარეა, ერთი - ფრაქციის, ორი კი ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეა;
- წინა მოწვევის საკრებულოს მსგავსად 2022 წელსაც გენდერული თანასწორობის საბჭოს არ განუხორციელებია არც სამართლებრივი აქტების ანალიზი და არც ექსპერტიზა საკანონმდებლო აქტის პროექტებზე. არ შემუშავებულა გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა;
- გენდერული თანასწორობის საბჭომ წარადგინა რეკომენდაციები 2023 წლის ბიუჯეტის პროექტზე, ასევე დაგმო საკრებულოს წევრის მხრიდან ქალისადმი ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტი;
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საკრებულოს წევრებმა საკრებულოს სხდომები **337-ჯერ** გააცდინეს, მათ შორის **320-ჯერ** - არასაპატიო მიზეზით;
- საკრებულოს წევრთა შორის ყველაზე მეტი - **22** სხდომა არასაპატიო მიზეზით ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" წევრმა, მამუკა ყურაშვილმა გააცდინა, არასაპატიო მიზეზით სხდომების გამცდენთა ლიდერებს შორის არიან დავით ვეკუა - ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის მოადგილე (17 სხდომა) და პაატა ადამია, ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი (16 სხდომა);
- 2022 წელს საკრებულოს კომისიის სხდომების გაცდენის **297** შემთხვევა დაფიქსირდა, მათ შორის **253-ჯერ** არასაპატიო მიზეზით;
- საკრებულოს წევრთა შორის კომისიის ყველაზე მეტი - **26** სხდომა არასაპატიო მიზეზით გააცდინა ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილემ, ჯონი ჯიქიამ, კომისიის სხდომების არასაპატიო მიზეზით გამცდენთა ლიდერებს შორის არიან, ამავე ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე, თაზო ფაცაცია (21 სხდომა) და ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის მოადგილე, დავით ვეკუა (18 სხდომა);

- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ზუგდიდის საკრებულოს **45** წევრიდან სიტყვით არ გამოსულა საკრებულოს **10** წევრი. შედარებისათვის: წინა მოწვევის საკრებულოში 2020 წელს **25** მდუმარე წევრი ჰყავდა. საკრებულოს სხდომებზე მოხსენებით არ წარმსდგარა საკრებულოს **32** წევრი;

- ზუგდიდის საკრებულოს საქმიანობაზე 2022 წელს ჯამში **1,547,553 ლარი** დაიხარჯა, საიდანაც სახელფასო ანაზღაურებას **1,302,230 ლარი** მოხმარდა, საკრებულოს წევრებისთვის გაწეული ხარჯის ანაზღაურებას - **147,676 ლარი**, საწვავზე **91,703 ლარი** დაიხარჯა, სატელეფონო კომუნიკაციაზე - **4,757 ლარი**, მივლინებებზე კი - 1,187 ლარი;

- წინა მოწვევის საკრებულოსაგან განსხვავებით, ზუგდიდის მოქმედი საკრებულო მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ავტომობილებით არ სარგებლობს;

- საკრებულოს თავმჯდომარისთვის განკუთვნილი საწვავის ლიმიტი შემცირდა 700-დან 400 ლიტრამდე, მოადგილეებისა - 400-დან 350 ლიტრამდე;

- 2022 წელს საკრებულომ ჯამში **27,6 ტონა** (**27,675** ლიტრი) საწვავი გახარჯა, შედარებისათვის: 2020 წლის ანალოგიური მაჩვენებელი **42,2 ტონა (42,257 ლიტრი)** იყო;

- გახარჯული საწვავის ოდენობა კი შემცირდა, თუმცა 2020 წელთან შედარებით, 2022 წელს გაიზარდა გახარჯული საწვავის ღირებულება **74,112 ლარიდან 91,703 ლარამდე**;

- საკრებულოს წევრთა შორის ყველაზე მეტი საწვავი საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, მალხაზ თორიამ მოიხმარა - ჯამში **3,374** ლიტრი, ღირებულებით - **11,150** ლარი;

- ფრაქციის თანამდებობის პირთა შორის კი ყველაზე მეტი **5,827** ლარის ღირებულების **1,795** ლიტრი საწვავი ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარემ, ირაკლი გოგოხიამ მოიხმარა;

- ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრებმა საკრებულოს შეკრებიდანვე უარი თქვეს სატელეფონო კომუნიკაციის ხარჯების ანაზღაურებაზე. 2022 წლის ივნისის გადაწყვეტილებით კი იგი გაუუქმდა საკრებულოს ყველა წევრს.

თავი 2. ზოგადი ინფორმაცია ზუგდიდის საკრებულოს შესახებ

ზუგდიდის საკრებულო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელიც ახორციელებს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ განსაზღვრულ უფლებამოსილებებს **ზუგდიდის მუნიციპალიტეტში**, აგრეთვე კანონით დადგენილ ფარგლებში **კონტროლს უწევს აღმასრულებელი ორგანოსა და ამ ორგანოს თანამდებობის პირების საქმიანობას**, ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

ზუგდიდის საკრებულოს **45** წევრი ჰყავს, რომელთაგან **15** წევრი აირჩა ადგილობრივ ერთმანდატიან მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში, ხოლო **30** წევრი – პროპორციული წესით.

ზუგდიდის საკრებულო ერთ-ერთია იმ წარმომადგენლობით ორგანოებს შორის, სადაც 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად მყარი უმრავლესობა ვერც ერთმა პარტიამ ვერ მიიღო. ზუგდიდის საკრებულოში მანდატები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- “ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო” - 20 მანდატი, მათ შორის 7 მაჟორიტარი
- “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” - 22 მანდატი, მათ შორის 8 მაჟორიტარი
- “გახარია საქართველოსთვის” - 3 მანდატი

საკრებულოში 7-დან 14-მდე გაიზარდა ქალი წევრების რაოდენობა, რაც საერთო რაოდენობის **31.1** პროცენტია. საკრებულოს წევრი 14 ქალიდან თანამდებობას 6 წევრი იკავებს, მათ შორის სამი კომისიის თავმჯდომარეა, ერთი - ფრაქციის, ორი კი ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეა.

ზუგდიდის საკრებულოში საკრებულოს უფლებამოსილების ვადით შექმნილია შემდეგი **კომისიები**:

1. იურიდიულ, სამანდატო და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისია (თავმჯდომარე - ბელა მოსია);

2. საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისია (თავმჯდომარე - ბესიკ გაბუნია);

3. ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია (თავმჯდომარე - მაია გაწერელია);

4. განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ და გენდერულ საკითხთა კომისია (თავმჯდომარე - მარიამ ახალაია);

5. ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია (თავმჯდომარე - გიორგი სორდია).

საკრებულოში მუშაობს 3 ფრაქცია: “ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო”, “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” და “ზუგდიდი საქართველოსთვის”.

თუკი წინა მოწვევის საკრებულოში არსებული ფრაქციების თავმჯდომარეებს 1 ან 2 მოადგილე ჰყავდათ, ამჟამად ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეთა რაოდენობა გაიზარდა: ფრაქცია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობას” თავმჯდომარეს 7 მოადგილე ჰყავს, ფრაქცია “ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს” კი - 6 მოადგილე.

ფრაქციას ,,ზუგდიდი საქართველოსთვის“ თანამდებობის პირები არ ჰყავს, თუმცა ფრაქციის სამივე წევრი საკრებულოში სხვადასხვა თანამდებობას იკავებს: გიგა ფარულავა საკრებულოს თავმჯდომარეა, მალხაზ თორია - თავმჯდომარის მოადგილე, ბელა მოსია კი - კომისიის თავმჯდომარე.

ორიდან სამამდე გაიზარდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეთა რაოდენობა. ჯამში კი საკრებულოს 45 წევრიდან თანამდებობას 24 წევრი იკავებს, საკრებულოს სხვა წევრები კანონის

შესაბამისად თავის უფლებამოსილებას უსასყიდლოდ ახორციელებენ. დეტალური ინფორმაცია თანამდებობის პირთა შესახებ იხილეთ ცხრილში.

ზოგადი სტატისტიკა:

საანგარიშო პერიოდში გაიმართა საკრებულოს **28** სხდომა, მათ შორის **19** სხდომა რიგგარეშე იყო, რომელიც მოიწვია მუნიციპალიტეტის მერმა.

საანგარიშო პერიოდში ზუგდიდის საკრებულომ **45** დადგენილება მიიღო, რომელთაგან **30** მერიის, **15** კი - საკრებულოს ინიცირებული იყო.

ზუგდიდის საკრებულოს მიერ მიღებულ სამართლებრივ აქტებზე ზედამხედველობის ორგანომ მოამზადა **4** დასკვნა/შენიშვნა, საკრებულომ ყველა მათგანი გაიზიარა.

საანგარიშო პერიოდში ზუგდიდის საკრებულოში დარეგისტრირდა **5** პეტიცია, რომელთაგან 1 დაკმაყოფილდა, 1 ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული, ერთი პეტიცია არ დაკმაყოფილდა, 2 პეტიცია კი ჯერაც განხილვის პროცესშია.

სახელმწიფოსთვის ქონების უსასყიდლოდ გადაცემა:

- 2022 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ზუგდიდის საკრებულომ სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცა მუნიციპალიტეტის რვა სოფელში არსებული მიწის ნაკვეთები, ჯამური ფართობით 3,871 კვ.მ. და მათზე განთავსებული 7 შენობა-ნაგეობა. შემდგომში სახელმწიფოს ეს ქონება სიმბოლურ ფასად, 1 ლარად უნდა მიეყიდა ა(ა)იპ "საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის", რომლის ვალდებულებაც ამ ნაკვეთებზე სამედიცინო ამბულატორიებს მოწყობა და მართვაა;

- 2022 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ზუგდიდის საკრებულომ სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცა სოფელ, ნარაზენში მდებარე 137 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც შემდგომში სამლოცველოს აშენების მიზნით სახელმწიფოს საქართველოს საპატრიარქოსათვის საკუთრებაში უნდა გადაეცა.

მუნიციპალიტეტების მიერ სახელმწიფოსათვის ქონების გადაცემის არსებული პრაქტიკა არაერთ მანკიერ მხარეს შეიცავს. ადგილობრივი თვითმმართველობები დამოუკიდებლად უნდა იღებდნენ გადაწყვეტილებას მათ საკუთრებაში არსებული ქონების თაობაზე. საქველმოქმედო თუ სხვა მიზნებისთვის მუნიციპალური ქონების გადაცემაზე პასუხისმგებელი მხოლოდ თვითმმართველობა უნდა იყოს, ცენტრალური ხელისუფლების თანამონაწილეობის გარეშე.

საკრებულოს მიიღო მნიშვნელოვანი დოკუმენტები:

- ქალაქ ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც ევროკავშირის პროექტის EU4Culture საგრანტო შესაძლებელობების ფარგლებში ხორციელდება (გრანტის მოცულობა 300,000 ევრო) - 20.05.2022

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგია - 07.10.2022;

- ზუგდიდის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა და გაეროს უშიშროების საბჭოს 1325-ე რეზოლუციის „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება"-ფარგლებში, ეროვნული სამოქმედო გეგმის ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ლოკალიზაციის „საგზაო რუკა" - 14.12.2022

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2023–2027 წლების სამოქმედო გეგმა - 23.12.2022

ცვლილებები საკრებულოს შემადგენლობაში:

- "ქართული ოცნებიდან" ზუგდიდის საკრებულოს წევრს, ირაკლი ლაგვილავას საკუთარი განცხადების საფუძველზე უფლებამოსილება შეუწყდა 2021 წლის დეკემბერში და იგი ჩაანაცვლა გიორგი კორტავამ;

- "ქართული ოცნებიდან" ზუგდიდის საკრებულოს წევრი, ბესიკ ჭეჟია დაინიშნა ზუგდიდის მერის მოადგილედ. იგი საკრებულოში 2022 წლის თებერვალს ჩაანაცვლა ირუზა კაკავამ;

- "ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" ზუგდიდის საკრებულოს წევრს, გიორგი ბიგვავას საკუთარი განცხადების საფუძველზე უფლებამოსილება შეუწყდა 2022 წლის ივნისში და იგი ჩაანაცვლა თამარ ჭიჭინაძემ;

- "ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" ზუგდიდის საკრებულოს წევრს, გიორგი ფიფიას, საკუთარი განცხადების საფუძველზე უფლებამოსილება შეუწყდა 2021 წლის დეკემბერში და იგი ჩაანაცვლა მანუჩარ ფიფიამ.

თავი 4. საკრებულოს კომისიების და ფრაქციების საქმიანობა

საკრებულოს კომისიების საქმიანობა:

ზუგდიდის საკრებულოში ხუთმა მუდმივმოქმედმა კომისიამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 108 სხდომა გამართა. კვორუმის არარსებობის გამო კომისიის სხდომა მხოლოდ ერთხელ ჩაიშალა. ჯამში კომისიებმა საკრებულოს განსახილველად წარუდგინეს 139 საკითხი, ასევე იურიდიულ, სამანდატო და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიამ მოამზადა 156 დასკვნა საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

საკრებულოს კომისიათა სხდომების რაოდენობა 2022 წელს				
იურიდიულ, სამანდატო და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისია	ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია	საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისია	განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ და გენდერულ საკითხთა კომისია	ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია
16	11	30	18	33

კომისიათა მიერ საკრებულოსთვის წარდგენილი საკითხების რაოდენობა				
იურიდიულ, სამანდატო და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისია	ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია	საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისია	განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ და გენდერულ საკითხთა კომისია	ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია
30	4	10	5	90

საკრებულოს ფრაქციების საქმიანობა:

ზუგდიდის საკრებულოში 2022 წლის მდგომარეობით სამი ფრაქცია ფუნქციონირებს - “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”, “ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო” და “ზუგდიდი საქართველოსთვის”. ეს უკანასკნელი ფრაქცია მუშაობს თანამდებობის პირთა გარეშე.

აღსანიშნავია, რომ, 2020 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა ფრაქციათა ინიციატივების ოდენობა. თუკი 2020 წელს საკრებულოში მოქმედი 6 ფრაქციიდან, მხოლოდ ორს ქონდა 18 ინიციატივა, 2022 წელს სამ ფრაქციას ჯამში 59 ინიციატივა ჰქონდა, უმეტეს შემთხვევაში კი ერთი ინიციატივით რამდენიმე საკითხის გადაწყვეტას ითხოვდნენ.

ფრაქციათა მიერ ინიციირებული საკითხები შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:

ფრაქცია	წერილობითი ინიციატივების რაოდენობა
“ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო”	25
“ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”	28
“ზუგდიდი საქართველოსთვის”	6
სულ ინიციატივები	**59**

ფრაქციათა საქმიანობაზე 2022 წელს გაიხარჯა **633,443** ლარი. აქედან **599,340** ლარი ხელფასებზე მოდის, რაც **350,341** ლარით მეტია 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

ფრაქციების წარმომადგენლებმა 2022 წელს **29,087** ლარის ღირებულების **8,845** ლიტრი საწვავი მოიხმარეს, რომელთაგან ყველაზე მეტი **5,827** ლარის ღირებულების **1,795** ლიტრი საწვავი ფრაქცია “ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს” თავმჯდომარემ, ირაკლი გოგოხიამ გახარჯა.

ფრაქციათა საქმიანობაზე გაწეული ხარჯები		
საწვავის ღირებულება	**სახელფასო ანაზღაურება**	**მივლინება**
29,087	599,340	837

თავი 5. პოლიტიკური კრიზისი და საკრებულოთა როლის დასუსტება

2021 წლის ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ზუგდიდი ერთ-ერთი იყო იმ მუნიციპალიტეტებს შორის, სადაც გამწვავდა ადგილობრივი დემოკრატიის პრობლემები.

- პარტიათა შორის არსებული პოლიტიკური დაპირისპირებისა თუ შეუთანხმებლობის გამო, ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარე ვერ აირჩიეს საკრებულოს პირველი შეკრებიდან (2021 წლის 3 დეკემბერი) 2 თვის განმავლობაში და მხოლოდ 2022 წლის 14 თებერვალს, მეექვსე ცდაზე შეძლეს. თავმჯდომარედ პარტია "გახარია საქართველოსთვის" წარმომადგენელი, გიგა ფარულავა აირჩიეს, ამავე პარტიიდან აირჩიეს საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე. მოადგილის ორი ვაკანტური პოზიცია კი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებმა დაიკავეს. კომისიის თავმჯდომარეების პოზიციებიც "ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა" და "გახარია საქართველოსთვის" წარმომადგენლებმა გადაინაწილეს. "ქართული ოცნების" წარმომადგენლები თანამდებობის პირთა არჩევის კენჭისყრაში არ მონაწილეობდნენ. მათ ასევე უარი თქვეს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილისა და კომისიის თავმჯდომარის პოზიციაზე საკუთარი კანდიდატურების წარდგენაზეც;

- ზუგდიდი ერთ-ერთი იყო იმ მუნიციპალიტეტებს შორის, სადაც მმართველმა პარტიამ 2022 წლის ბიუჯეტი უპრეცედენტოდ დაჩქარებულ ვადებში 2017 წლის მოწვევის საკრებულოს მიაღებინა. ლოგიკურად, 2022 წლის ბიუჯეტი ახალი მოწვევის საკრებულოს უნდა დაემტკიცებინა, რადგანაც შემდგომში მის კონტროლზეც სწორედ ეს საკრებულო იყო პასუხისმგებელი. დაჩქარებული წესით 2022 წლის ბიუჯეტები, წინა მოწვევის საკრებულოებს მიაღებინეს იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც მერის პოზიციაზე "ქართული ოცნების" წარმომადგენელი იქნა არჩეული, საკრებულოებში კი ოპოზიციური უმრავლესობა შეიქმნა. ამ სცენარით მმართველი პარტია ეცადა თავიდან აერიდებინა ადგილობრივი პოლიტიკური პროცესების მისთვის არასასურველი სცენარით წარმართვა[1]. ეს პროცესი წაახალისა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, როცა განაცხადა, რომ ცენტრალურ ხელისუფლებაში "ქართული ოცნებაა" და ოპოზიცია ადგილობრივ დონეზე მათ გარეშე "ნაბიჯს ვერ გადადგამდა";

- საკრებულოების როლი მნიშვნელოვნად შეასუსტა 2022 წლის დეკემბერში "ადგილობრივი თვითმმართველობის" კოდექსში მმართველი პარტიის ინიციირებით შეტანილმა ცვლილებებმა. კოდექსის ძველი რედაქციით, საბიუჯეტო წლის დაწყებიდან 3 თვის ვადაში ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში უფლებამოსილება ვადამდე უწყდებოდა როგორც მერს, ასევე საკრებულოს. ცვლილებების შემდეგ კი პასუხისმგებლობა მხოლოდ საკრებულოს დაეკისრა. სავარაუდოდ, ამის შემდეგ საკრებულოები ბიუჯეტის პროექტზე უფრო ნაკლებად გამოხატავენ განსხვავებულ პოზიციას, განსაკუთრებით კი იმ საკრებულოებში, სადაც მყარი უმრავლესობა არცერთ პარტიას არ აქვს.

1 2022 წლის ბიუჯეტის პროექტზე საკრებულოსა და მერს შორის შეუთანხმებლობა, კანონის იმჟამინდელი რედაქციით შესაძლოა მერის და საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი გამხდარიყო

თავი N 6. საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების კონტროლი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, საკრებულო უფლებამოსილია, გააკონტროლოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირთა საქმიანობა, მოუსმინოს და შეაფასოს[2] მათი ანგარიშები. მერი კი ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მოსახლეობის წინაშე.[3]

წინა მოწვევის საკრებულოსთან შედარებით, 2022 წელს გაუმჯობესდა ზუგდიდის საკრებულოს საზედამხედველო ფუნქციები მერიისა თუ მუნიციპალური იურიდიული პირების საქმიანობაზე.

ცალკეული საკითხების განსახილველად მერიის წარმომადგენლები საკრებულომ, კომისიებმა და ფრაქციებმა 124-ჯერ მოიწვიეს, რაც 40 ერთეულით მეტია 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

2022 წელს საკრებულომ მერის მიერ ინიციირებულ ორ საკითხს არ დაუჭირა მხარი.

ზუგდიდის საკრებულოს წინაშე მერი ანგარიშით უნდა წარმდგარიყო 2022 წლის 26 დეკემბერს, თუმცა კვორუმის არ არსებობის გამო სხდომა ჩაიშალა. მერიის სხვა თანამდებობის პირებს საკრებულოსთვის 2022 წელს ანგარიში არ წარუდგენიათ.

ზუგდიდის საკრებულოს მერიის საქმიანობაში და, მათ შორის სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, ინტერესთა კონფლიქტი ან რაიმე სახის გადაცდომა არ გამოუვლენია. 2022 წელს საკრებულოში შეიქმნა დროებითი სამუშაო ჯგუფი, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობის შესასწავლად, სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში მხოლოდ ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრები იყვნენ ჩართული.

2022 წელს ზუგდიდის საკრებულოში ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის ერთი ფაქტი გამოვლინდა, კერძოდ - 2022 წლის 28 დეკემბრის სხდომაზე ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის მოადგილის, თენგიზ მამფორიას მიერ საკრებულოს სხდომაზე ქალისადმი გამოთქმული შეურაცხმყოფელი გამონათქვამები საკრებულომ ეთიკის ნორმების დარღვევად მიიჩნია. 2023 წლის თებერვალში მამფორიას პასუხისმგებლობის ზომად გაფრთხილება დაეკისრა.

საკრებულოს ცალკეულმა კომისიებმა და ფრაქციებმა 2023 წლის ბიუჯეტის შემუშავებისას ზუგდიდის მერიას მიმართეს სხვადასხვა რეკომენდაციებით, რომელთა ნაწილი სრულად ან ნაწილობრივ აისახა 2023 წლის ბიუჯეტში.

2 მუხლი 24-ე, პიურველ მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა"

3 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 48-ე მუხლის მეორე პუნქტი

თავი 7. არასრულად შევსებული დეკლარაციები და შეუთავსებელი საქმიანობა

ზუგდიდის საკრებულოს თანამდებობის პირებიდან დეკლარაცია ხარვეზებით მხოლოდ ერთმა შეავსო:

ირაკლი გოგოხია

ზუგდიდის საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე

ირაკლი გოგოხია 2023 წლის იანვარში შევსებულ დეკლარაციაში მიუთითებს მის წილობრივ მფლობელობაში არსებულ ყველა კომპანიას - შპს "ზუგპეტროილი", შპს "ოილ პრო", შპს "ოილ პრო ჯგუფი", შპს "იმედი 2", შპს "ვიქტორია 2012" და შპს "ჯიპსი". დეკლარაციაში მითითებულია წილის მართვის უფლებით გადაცემის შესახებ, თუმცა, კანონის მოთხოვნის მიუხედავად, აღნიშნული წილების მართვის უფლებით სხვა პირისათვის გადაცემის შესახებ ინფორმაცია სამეწარმეო რეესტრის ამონაწერებში არ არის ასახული.

კანონმდებლობის მოთხოვნა:

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონის" თანახმად, პირი თანამდებობაზე დანიშვნიდან ორი თვის ვადაში ვალდებულია სრულყოფილად შეავსოს დეკლარაცია, ასახოს ინფორმაცია საკუთარი და ოჯახის წევრთა ქონებისა და ეკონომიკური ინტერესების შესახებ, სამეწარმეო ორგანიზაციებში არსებული საკუთარი წილები მართვის უფლებით გადასცეს სხვა პირს და თანამდებობაზე დანიშვნიდან 10 დღის ვადაში დატოვოს სამეწარმეო ორგანიზაციის დირექტორის, ხელმძღვანელის პოზიცია[4].

4 მე-14 მუხლი, პუნქტი მე-10

თავი 8. საკრებულოს წევრთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში

ზუგდიდის საკრებულოს რეგლამენტში არ დაუზუსტებია, რა შემთხვევა ითვლება საკრებულოს წევრის მიერ სხდომის გაცდენის არასაპატიო მიზეზად. საკრებულოს რეგლამენტი ეყრდნობა "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" ჩანაწერს, რომლის თანახმადაც, საკრებულოს წევრს ვადამდე შეუწყდება უფლებამოსილება, თუ იგი "არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში".

მონაწილეობა საკრებულოს სხდომებში:

საკრებულოს წევრებმა საკრებულოს სხდომები 337-ჯერ გააცდინეს, მათ შორის 320-ჯერ - არასაპატიო მიზეზით.

საკრებულოს წევრთა შორის ყველაზე მეტი სხდომა (22 სხდომა) არასაპატიო მიზეზით ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" წევრმა, მამუკა ყურაშვილმა გააცდინა, არასაპატიო მიზეზით სხდომების გამცდენთა ლიდერებს შორის არიან დავით ვეკუა, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის მოადგილე (17 სხდომა) და პაატა ადამია, ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი (16 სხდომა).

საკრებულოს თავმჯდომარე, გიგა ფარულავა, საკრებულოს ერთადერთი წევრია, რომელსაც არც ერთი სხდომა არ გაუცდენია.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ ცხრილში.

მონაწილეობა საკრებულოს კომისიების სხდომებში:

საკრებულოს წევრები აცდენენ კომისიების სხდომებსაც. ჯამში გაცდენის 297 შემთხვევა დაფიქსირდა, მათ შორის 253-ჯერ - არასაპატიო მიზეზით.

საკრებულოს წევრთა შორის კომისიის ყველაზე მეტი სხდომა (26 სხდომა) არასაპატიო მიზეზით გააცდინა ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილემ, ჯონი ჯიქიამ, კომისიის სხდომების არასაპატიო მიზეზით გამცდენთა ლიდერებს შორის არიან, ამავე ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე, თაზო ფაცაცია (21 სხდომა) და ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის მოადგილე, დავით ვეკუა (18 სხდომა).

დეტალური ინფორმაცია იხილეთ ცხრილში.

საკრებულოს სხდომებზე სიტყვით და მოხსენებით, საკრებულოს კომისიის სხდომებზე სიტყვით გამოსვლის მაჩვენებელი

2022 წელს ზუგდიდის საკრებულოს 45 წევრიდან სიტყვით გამოსვლის უფლებით არ უსარგებლია საკრებულოს 10 წევრს. შედარებისათვის: წინა მოწვევის საკრებულოს 2020 წელს 25 მდუმარე წევრი ჰყავდა.

საანგარიშო პერიოდში კი საკრებულოს "მდუმარე" დეპუტატები იყვნენ:

- ბესიკ ჭეჟია - ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის მოადგილე
- მერაბ ჭაჭუა - ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის მოადგილე
- გიორგი კორტავა - ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" წევრი
- მამუკა ყურაშვილი - ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" წევრი

- ირაკლი ჯანაშია - ფრაქცია “ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს” წევრი
- სოსო გოგოხია - ფრაქცია “ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს” წევრი
- გიორგი ფიფია - ფრაქცია “ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს” წევრი
- თამარ ჭიჭინაძე - ფრაქცია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წევრი
- თენგიზ ჯიქია - ფრაქცია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წევრი
- მირანდა ესებუა - ფრაქცია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წევრი

საკრებულოს სხდომებზე მოხსენებით არ წარმსდგარა საკრებულოს 32 წევრი. დეტალური ინფორმაცია საკრებულოს სხდომებზე სიტყვითა და მოხსენებით გამოსვლის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ცხრილში.

თავი 9. მოქალაქეთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში

ზუგდიდის საკრებულოში დადგენილია ყველა ის რეგულაცია, რომლებიც უზრუნველყოფენ მოქალაქეთა ჩართულობას მუნიციპალიტეტის, მათ შორის საკრებულოს საქმიანობაში:

- საანგარიშო პერიოდში საკრებულოში **5** პეტიცია დარეგისტრირდა, თუმცა ჯერაც არ არის დანერგილი პეტიციის წარდგენის ელექტრონული სისტემა;
- 2022 წლის 24 ნოემბერს, ზუგდიდის საკრებულოში პირველად გაიმართა ღია კარის სხდომა, სადაც მომხსენებლები ამომრჩევლები და სხვადასხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები იყვნენ, რომლებმაც კონკრეტულ თემებსა თუ დასახლებებში არსებულ გამოწვევებზე მიაწოდეს საკრებულოს ინფორმაცია;
- საკრებულო მერიასთან ერთად მართავს ბიუჯეტის საჯარო განხილვებს;
- საკრებულოს წევრები ჩართული არიან "დასახლების საერთო კრებებში", "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" მიმდინარეობის პროცესში, ასევე ხვდებიან ამომრჩევლებს;
- საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია.

თავი 10. გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა

ზუგდიდის საკრებულოში გენდერული თანასწორობის საბჭო 2018 წლიდან ფუნქციონირებს, 2019 წლის 5 აპრილს დამტკიცდა საბჭოს სამოქმედო გეგმაც, თუმცა, მიუხედავად ამისა, როგორც წინა პერიოდში, ასევე 2022 წელს გენდერული თანასწორობის საბჭოს:

- სამართლებრივ აქტებზე სამართლებრივი ანალიზი არ განუხორციელებია;
- არცერთ საკანონმდებლო აქტის პროექტზე არ განუხორციელებია ექსპერტიზა;
- გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა არ შეუმუშავებია;
- საბჭოს საკრებულოსთვის 2021 წლის ანგარიში არ წარუდგენია, ასევე არ მოუმზადებია წინადადებები და რეკომენდაციები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს 2022 წლის ანგარიშის მომზადება;
- გენდერული თანასწორობის საბჭომ იმსჯელა და დაგმო საკრებულოში ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის მოადგილის, თენგიზ მამფორიას მიერ საკრებულოს სხდომაზე ქალისადმი გამოთქმული შეურაცხმყოფელი გამონათქვამები.

თავი 11. ზუგდიდის საკრებულოს ხარჯები

სახელფასო ანაზღაურება და ფულადი ჯილდო:

ზუგდიდის საკრებულოს ხარჯებმა, 2022 წელს **1,302,230** ლარი შეადგინა, რაც **265,786** ლარით მეტია 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ამავე პერიოდში ფულადი ჯილდო მხოლოდ საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეებმა და შტატგარეშე თანამშრომლებმა მიიღეს **100,070** ლარის ოდენობით, რაც **82,870** ლარით მეტია 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

ზუგდიდის საკრებულოში 2022 წელს გაცემული შრომის ანაზღაურება	
თანამდებობის პირები	**629,961**
საკრებულოს აპარატის თანამშრომლები	**672,269**
ჯამი	**1,302,230**

დეტალური ინფორმაცია ზუგდიდის საკრებულოს თანამდებობის პირებზე 2022 წელს გაცემული სახელფასო ანაზღაურების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ცხრილში.

საკრებულოს წევრის საქმიანობის ანაზღაურება:

"ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საკრებულოს იმ წევრისთვის, რომელიც არ იკავებს თანამდებობას და, შესაბამისად, არ აქვს ანაზღაურება, ითვალისწინებს საკრებულოს წევრობისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების შესაძლებლობას, რომლის ჯამურმა ოდენობამაც ზუგდიდის საკრებულოში 2022 წელს **147,676** ლარი შეადგინა.

სამივლინებო ხარჯები:

ზუგდიდის საკრებულოს წევრთა და აპარატის თანამშრომელთა მივლინებებზე ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ საანგარიშო პერიოდში, სულ **1,187** ლარი გაიხარჯა.

სატელეკომუნიკაციო ხარჯები:

ზუგდიდის საკრებულოს წევრთაგან ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრებმა საკრებულოს შეკრებისთანავე უარი თქვეს სატელეფონო კომუნიკაციის ხარჯების ანაზღაურების მიღებაზე. 2022 წლის ივნისის გადაწყვეტილებით, იგი გაუუქმდა საკრებულოს ყველა წევრს და სატელეფონო ხარჯები მხოლოდ აპარატის თანამშრომლებს უნაზღაურდებათ. 2022 წელს ჯამში სატელეფონო კომუნიკაციის ხარჯმა **4,757** ლარი შეადგინა.

ავტომობილები და საწვავის ხარჯები:

წინა მოწვევის საკრებულოსაგან განსხვავებით, ზუგდიდის მოქმედი საკრებულო მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ავტომობილებით არ სარგებლობს. შემცირდა საკრებულოს თავმჯდომარისთვის განკუთვნილი საწვავის ლიმიტის მოცულობა 700-დან 400 ლიტრამდე, თავმჯდომარის მოადგილეებისთვის კი - 400-დან 350 ლიტრამდე.

კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეების ყოველთვიური ლიმიტი, კვლავ 150 ლიტრია, ფრაქციათა თავმჯდომარეების ყოველთვიური ლიმიტი კი - 50.

შემცირდა საკრებულოს მიერ ჯამურად გახარჯული საწვავის მოცულობაც, 2022 წელს საკრებულომ ჯამში 27,6 ტონა (**27,675** ლიტრი) საწვავი გახარჯა, რომლის ღირებულებამაც **91,703 ლარი**

შეადგინა. 2020 წელს ჯამში ზუგდიდის საკრებულომ 42,2 ტონა (42,257 ლიტრი) საწვავი გახარჯა, რომლის ღირებულებამაც **74,112 ლარი** შეადგინა.

საკრებულოს წევრთა შორის ყველაზე მეტი საწვავი საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, მალხაზ თორიამ მოიხმარა - 3,374 ლიტრი (ღირებულება - 11,150 ლარი).

საკრებულოს მაღალი თანამდებობის პირთა მიერ გახარჯული საწვავის მონაცემები

სახელი/გვარი	გახარჯული საწვავის მოცულობა	გახარჯული საწვავის ღირებულება
გიგა ფარულავა - საკრებულოს თავმჯდომარე	3,061	10,675
მალხაზ თორია- საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	3,374	11,150
თეიმურაზ ბასილაია - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1,667	5,876
კახაბერ ჩანგელია - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1,279	4,329

კონტროლის განხორციელება:

- საკრებულოს წევრები უფრო აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ საზედამხედველო საქმიანობაში, კერძოდ უფრო ხშირად უნდა იყენებდნენ კონტროლის მექანიზმებს, უფრო ქმედითად უნდა ზედამხედველობდნენ სახელმწიფო შესყიდვების პროცესს, მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს;

- აღმასრულებელ ორგანოთა საქმიანობის ზედამხედველობის პროცესში აქტიურად უნდა ჩაერთონ საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიები;

- საკრებულომ აქტიურად და კეთილსინდისიერად უნდა გამოავლინოს მუნიციპალიტეტში ინტერესთა კონფლიქტის, თანამდებობრივი შეუთავსებლობის, საკრებულოს რეგლამენტის და ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტები;

საკრებულოს სხდომები:

- უმჯობესია, საკრებულომ შეამციროს რიგგარეშე სხდომების რაოდენობა, რათა გაუმჯობესდეს ინტერესთა ჯგუფების მობილიზების ხარისხი და მოქალაქეთა ჩართულობა, გაიზარდოს სხდომაზე განსახილველი საკითხებისთვის მომზადების შესაძლებლობა და სათათბირო ორგანოს გამჭვირვალობა.

ანგარიშვალდებულება:

- უნდა გაუმჯობესდეს საკრებულოს და მისი კომისიების სხდომებზე საკრებულოს წევრთა დასწრება. მიგვაჩნია, რომ საკრებულოს ყველა წევრი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს და ესწრებოდეს სხდომებს. ამასთან, საკრებულოს წევრს, სხდომის არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, შესაბამისი სანქციებიც დაეკისროს;

- აუცილებელია საკრებულოს წევრებმა აქტიურად გამოიყენონ საკრებულოს სხდომაზე სიტყვით და მოხსენებით გამოსვლის უფლება, წარადგინონ მოსაზრებები განსახილველ საკითხებზე, ინფორმაცია მიაწოდონ როგორც საკრებულოს, ასევე აღმასრულებელ ორგანოს მოქალაქეთა კონკრეტული საჭიროებების შესახებ.

საზოგადოების ჩართულობა:

- ზუგდიდის საკრებულომ უნდა შექმნას ელექტრონული პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეები ელექტრონულად წარადგენენ პეტიციას, წინადადებას, მოსაზრებას კონკრეტულ საკითხზე თუ ნებისმიერ ინიციატივას, რაც გაზრდის მოქალაქეთა შესაძლებლობას, ჩაერთონ წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობაში

გენდერული საბჭო:

- უნდა გაუმჯობესდეს გენედერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა. აუცილებელია, საბჭომ გაზარდოს ინიცირებული პროექტების, რეკომენდაციებისა და წინადადებების რაოდენობა.